ოქმი:**ო31.31203461**
თარიღი:**11/12/2020**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N18

ქ. ლანჩხუთი

10.12.2020 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომრე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 20 თებრვლის N325 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 07 ოქტომბრის N1950 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 1500000 ლარი, რომელიც მიიმართება მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციოდ,

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 იანვრის N27 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო განათლების ობიექტების რეაბილიტაციაზე 247000 ლარი, აღნიშნუ.ლი თანხები ბუჯეტში უნდა აისახოს როგორც შემოსავლის ისე ხარჯვის ნაწილში.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მერიისათვის მაღალი წარმადობის კომპიუტერის შეძენის თანადაფინასებაზე მიმართოს 3917 ლარი არაფინანსური აქტივების მუხლიდან; მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა გაიზარდოს 4300 ლარით (ვალუტის კურსის ცვლილების გამო);

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 9500 ლარით და შრომის ანაზღაურების მუხლი 3000 ლარით;

სოფელ აცანის ამბულატორიის ქსელში მიერთების დაფინანსების მიზნით გაიზარდოს ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია 800 ლარით;

სადღესასწაულო ღონისძიების მოწყობის დაფინანსება გაიზარდოს 10000 ლარი. გარე განათების მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის დაფინანსება გაიზარდოს 7000 ლარით; სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 03) გაიზარდოს 40000 ლარით.

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსება შრომის ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 1900 ლარით.

შპს ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის ლანჩხუთის“ დაფინანსება გაიზარდოს 29200 ლარით; მათშორის 4200 ლარი შტატით მომუშავეთა ანაზღაურებისათვის, ხოლო 25000 ლარი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების წახალისებისათვის.

აღნიშნული ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 109617 ლარით ჯარიმებისა და სანქციების შემოსავლის ზრდის ხარჯზე.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე.**

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომოსახურების ცენტრის მომართვის საფუძველზე დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს შიდა მონაცვლეობა კერძოდ: სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია შემცირდეს 2200 ლარით, სასაფლაოს მოვლა პატრონობა 5300 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობა 5000 ლარით და შესაბამისად გაიზარდოს დასუფთავების და ნარჩენების გატანის ღონისძიება 12500 ლარით. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია საქონელი და მომსახურების მუხლის 3190 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 3190 ლარით.

(ა)აიპეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის საქონელი და მომსახურების 3820 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 3820 ლარით.

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების წერილის საფუძველზე დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში შრომის ანაზღაურების მუხლის 2928 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 2928 ლარით.

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 109000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი (ელექტრო სიმძლავრეების ზრდის უზრუნველოფის მიზნით) 109000 ლარით.

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მომართვის საფუძველზე მიზანშეწოლილია მედიკამენტის დახმარების პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 15) 9400 ლარით, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამით (ორგ.კოდი 06 02 07) 2800 ლარით, ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 08) 5500

ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალეზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 01) 3520 ლარით, შსმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 16) 1400 ლარით, ბავშვთა ადრეულ;ი განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანხმლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 17) 9000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესდაფრით უზრუნველყოფის პროგრამის (ორგ.კოდი 06 02 09) 4000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ხანდაზმულ (ასი და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 11) 500 ლარით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 02) 3480 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 12) 12000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 03) 13000 ლარით, ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა (ორგ.კოდი 06 02 14) 6640 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 20 თებრვლის N325 განკარგულებით გამოყოფილი თანხებით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების კერძოდ: გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოების 1321 ლარით და სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის 8932 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია 10253 ლარით.

საკრებულოს წევრმა **ლელა ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ის ეთანხმება აღნიშნულ დადგენილებაში სოციალური საკითხების კუთხით შეტანილ ცვლილებებს, ხოლო რაც შეეხება მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილ სახსრებს, იგი დაინტერესდა ეს თანხა სამომავლოდ არის გათვალისწინებული თუ უკვე მომხდარ სტიქიაზე.

საკრებულოს წევრი **ლელა ჩახვაძე** ასევე იმით დაინტერესდა, რომ იმ სკოლამდელ საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებებში, სადაც შეყვანილია ბუნებრივი აირი რატომ არის საჭირო ელექტრო ღუმელების შეძენა.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, აქ საუბარია სტიქიის შედეგად უკვე დაზიანებული გზების რეაბილიტაციაზე, რომლის პროექტიც მომზადებულია და უახლოეს მომავალში დაიწყება სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო სკოლამდელ საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებებში ელექტრო ღუმელების შეძენა გამოწვეულია სტანდარტების პირობებით, უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით. ამ ეტაპზე, ბიუჯეტის შიდა ცვლილებით (ეკონომიის ხარჯზე), სამ ფაზიანი დენი შევა 24 ბაღში, აცანის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღი ახალი სტანდარტებით არის გაკეთებული, სუფსის და ხაჯალიის ადმინისტრაციულ ერთეულებში ბაღების ტენდერი დამთავრებულია და დაიწყება მშენებლობა ახალი სტანდარტებით. ახალი წლიდან კი შესაძლებელი იქნება ელექტრო ღუმელების შეძენა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე** დაინტერესდა, დაკმაყოფილდება თუ არა ა(ა)იპ სპორტული ცენტრიდან და ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებიდან შიდა ცვლილებაზე შემოსული მოთხოვნები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ აქ საუბარია შიდა ცვლილებაზე და არ არის ბიუჯეტის ზრდა, მაგრამ ამ ცვლილებების განსახორციელებლად საჭიროა რიგი პროცედურები და დროის სიმცირის გამო იგი მიმდინარე წელს ვერ მოესწრება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეების“ თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, რომ ფორსმაჟორის შემთხვევაში, როცა დაზიანებულია ცენტრალური გზის

სავალი ნაწილი, რა ზომები გატარდება მის აღსადგენად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ამ შემთხვევაში თანხა გამოიყოფა სარეზერვო ფონდიდან.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სტიქიის შემთხვევაში, ფორსმაჟორული სიტუაციების სამართავად არის სპეციალური პროგრამა, მაგრამ ამ პროგრამისთვის გამოყოფილი სახსრები უკვე ათვისებულია, თუმცა ფორსმაჟორის შემთხვევაში აუცილებლად იქნება მოძიებული სახსრები პრობლემის აღმოსაფხვრელად.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, არის თუ არა 2021 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში სამედიცინო პუნქტის რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვა და დასრულების შემდეგ წარედგინება საკრებულოს განსახილველად.

დასასრულს მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ნამდვილად დასაფასებელია სქკ ,,ლანჩხუთის“ უეფას ქალთა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა და კარგი იქნებოდა მათ წასახალისებლად გამოყოფილიყო ბევრად უფრო მეტი თანხა, მაგრამ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესაძლებელი გახდა 25 000 ლარის გამოყოფა. მან კიდევ ერთხელ მიულოცა სქკ ,,ლანჩხუთის“ სრულ შემადგენლობას ეს გამარჯვება და უსურვა წარმატებები, რასაც შემოუერთდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებიც.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N (10.12.2020)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი